სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 ნოემბერი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება №06-01/105

„ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“
ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილებაში
ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების, „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ არაგეგმიური შემოწმების (ინსპექტირების) დასრულების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 30 სექტემბრის №გ-1/253/2024წ. გადაწყვეტილების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (MES 8 24 0001517968, 25.11.2024) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, **N1 დანართის** (პოლიტიკის):

ა) მე-2 მუხლი („ხარისხის პოლიტიკის მთავარი პრინციპები“) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და უნივერსიტეტის უწყვეტი განვითარების მიზნით, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის **მთავარი პრინციპებია:**

ა) სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა;

გ) პერსონალის შეფასებისა და პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა;

დ) სასწავლო რესურსებისა და სერვისების ხარისხის გაუმჯობესება;

ე) სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;

ე) პერიოდული და ეფექტური მონიტორინგის, შეფასების და რეაგირების სისტემის გაუმჯობესება.“;

ბ) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის **(პროფესიულ მასწავლებელთა პერსონალის/**პროგრამის ხელმძღვანელების) საქმიანობის შეფასების პროცესი წარიმართება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის“ და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ შესაბამისად;“;

გ) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობაზე პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, სამეცნიერო კვლევების სამსახური, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ფაკულტეტები. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების მიერ ყოველწლიურ ანგარიშებში აისახება მიღწეული შედეგები, ხდება მათი ანალიზი სამიზნე ნიშნულების შესაბამისად და იგეგმება გაუმჯობესების ღონისძიებები.“;

დ) მე-9 მუხლის (,,პერიოდული კვლევები“) **მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:**

,,3. პერიოდული კვლევები **(გამოკითხვები)** ტარდება, მათი დამუშავება და შესაბამის ინფორმაციაზე წვდომა, რეგულირდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს ელექტრონული სერვისების ადმინისტრირების წესით“

2. წინამდებარე დადგენილება და ამ დადგენილებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით იურიდიული დეპარტამენტის მიერ მომზადებული კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტი განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (იურიდიულ ცნობარში, „საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტები“)

3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**